

აგროლოგისტიკის ოპერატორი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია პირს გააცნოს ლოგისტიკურ გადაზიდვებთან დაკავშირებული პროცესები და პროცედურები, დოკუმენტაცია და მათი შევსების წესები. რაც დაეხმარებათ მსმენელებს შეძლონ სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა, შეკვეთის გაფორმება, გადაზიდვების მონიტორინგი. ხელი შეუწყოს პირის დასაქმებას სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკურ კომპლექსებში, გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში ან მის თვითდასაქმებას.

სასწავლო პროგრამა განკუთვნილია ნებისმიერი პროფესიის პირისთვის, ვისაც სურვილი აქვს იმუშაოს სხვადასხვა ლოგისტიკურ ორგანიზაციებში ოპერატორად ან ასევე, იმ პირებისთვის, რომლებიც უკვე დასაქმებულები არიან და სურვილი აქვთ აიმაღლონ კვალიფიკაცია. პროგრამა ასევე განკუთვნილია, სტუდენტებისთვის, რომელთაც სურთ, კარიერის დაწყება სახელმწიფო თუ კერძო კომპანიაში, რომლებიც შეიძენენ სათანადო ცოდნასა და უნარებს, ლოგისტიკური საქმიანობის ძირითად ასპექტებზე.

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა

პროგრამის მოცულობაა 4 კრედიტი (სულ 100 საათი, მათ შორის საკონტაქტო საათების რაოდენობაა 75, აქედან: თეორიული მეცადინეობა - 36 საათი, პრაქტიკული მეცადინეობა - 36, გამოცდა - 3 საათი, დამოუკიდებელი მუშაობა - 25 საათი).

პროგრამის ხანგრძლივობაა 60 დღე.

სწავლა წარმოებს კვირაში 4 დღე. მეცადინეობის ხანგრძლივობა დღეში შეადგენს 3 საათს (კვირაში 12 საათი).

სასწავლო კურსის განხორციელებისა და სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების მეთოდოლოგია მოიცავს სალექციო სწავლებასა და სამუშაო ჯგუფში პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებას, რომლებიც ლოგისტიკური საქმიანობის შესწავლასთან ინტეგრირებულად, ასევე უზრუნველყოფენ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

სასწავლო პროცესი იმყარება შემდეგ მეთოდებს:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სავარჯიშოების/დოკუმენტების შესრულებას;
- ჯგუფური მუშაობა - დისკუსია, გონებრივი იერიშის მეთოდების, ასევე კითხვა-პასუხისა და საქმიანი სიტუაციების ინსცენირების სახით;
- დემონსტრირების მეთოდი - გულისხმობს სალექციო თემის ირგვლივ არსებული მასალის, პრეზენტაციის და სხვა სასწავლო მასალის გამოყენებასა და ჩვენებას, რაც აადვილებს სასწავლო მასალის აღქმას.

- პროექტზე მუშაობა – ლოგისტიკური მულტიმოდალური გადაზიდვის ორგანიზება/დაგეგმვა.

ყოველი თემის ბოლოს ტარდება გამოკითხვა, მიწოდებული მასალის ათვისების შესამოწმებლად. პროგრამის დასრულების ბოლოს ტარდება პროექტის დაცვა, რის საფუძველზეც გაიცემა სერტიფიკატი.

სწავლება მიმდინარეობს მცირე ჯგუფებში.

სწავლის საფასური:

ჯგუფში მსმენელთა **მინიმალური** რაოდენობაა - 5

ჯგუფში მსმენელთა **მაქსიმალური** რაოდენობაა - 20

21 და მეტი მსმენელის შემთხვევაში შედგება ახალი ჯგუფი.

ერთი მსმენელის ღირებულება შეადგენს 950 ლარს

სწავლების ენა - ქართული

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22;

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

იცის:

- აგროლოგისტიკის (გადაზიდვებისა და დასაწყობების) ძირითადი პრინციპები, ამოცანები და თანამედროვე კონცეფციები;
- აგროლოგისტიკის სამართლებრივი რეგულაციები;
- მომარაგება-განაწილების ლოგისტიკური მოდელების შედგენა-გამოყენების მეთოდები;
- სასაწყობო ტვირთების გადამუშავების, შენახვა-განთავსების ტექნოლოგიური ოპერაციები და სქემები;
- შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; პროდუქტების შენახვის რეჟიმები;
- სატვირთო გადაზიდვების ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მეთოდები;
- კლიენტებთან ურთიერთობის მართვის წესები

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- ტვირთებისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ლოგისტიკური მარშრუტების დაგეგმვა, ლოგისტიკური დანახარჯების გაანგარიშება;
- ტვირთებისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შენახვა-გადამუშავების ორგანიზება;
- სასაწყობო-სამეურნეო მარაგების მართვა და კონტროლი;
- გადაზიდვებთან და სასაწყობო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შედგენა;

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია:

- კლიენტთან ურთიერკავშირის მართვა;
- IT ტექნოლოგიების გამოყენება ლოგისტიკური ოპერაციების შესარულებისას.
- არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს გამოცდაზე 10 დღის ვადაში. განმეორებით გამოცდაზე მიღებული შედეგი საბოლოოა.

სერტიფიცირების პროცესი

სერტიფიცირების პროცესის მიმდინარეობას აკვირდება სერტიფიცირების კომისია, რომლის შემადგელობაში შედიან როგორც დარგის სპეციალისტები, ისე პოტენციური დამსაქმებლები. პროექტის შეფასების თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3 ქულით:

3 ქულა – კარგი; 2-ქულა – საშუალო; 1 ქულა – სუსტი; 0 ქულა – არადამაკმაყოფილებელი.

პროექტი დადებითად ფასდება თუ მსმენელი შეფასების ყველა კრიტერიუმში მოიპოვებს 2 ქულას, ანუ დააგროვებს 20 ქულას.

N	პროექტის შეფასების ჩეკ-ლისტი				
	შეფასების კრიტერიუმი	შეფასების ქულა			
		3-ქულა	2-ქულა	1-ქულა	0-ქულა
1	მარშრუტი დაგეგმილია ოპტიმალურად (სწორად არის შერჩეული მარშრუტის გეოგრაფია, გადაზიდვის სახე/სახეები, გათვალისწინებულია შეზღუდვები მარშრუტებზე, სატრანსპორტო საშუალებისა და ტვირთის დაზღვევა)				
2	სწორადაა შერჩეული ოპტიმალური სატრანსპორტო სახეობა/სახეობები				
3	გათვალისწინებულია გადაზიდვის მონიტორინგი და პროდუქციის ტრანსპორტირებისას ხარისხის უზრუნველყოფის ხერხები				
4	გათვალისწინებულია შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმები				
5	გათვალისწინებულია სამართლებრივი რეგულაციები				
6	გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების ნორმები				
7	სწორად არის გაანგარიშებული ლოგისტიკური დანახარჯები				
8	სწორად არის პროდუქციის შენახვის/ტრანსპორტირების რეჟიმები გათვალისწინებული				
9	სწორად არის შედგენილი წარმოდგენილი დოკუმენტები				
10	აუდიტორიასთან კონტაქტი/პრეზენტაციის ტექნიკა				
	<i>ჯამი:</i>				

	<i>მიღებული ქულა:</i>	
--	-----------------------	--

არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს გამოცდაზე 10 დღის ვადაში. განმეორებით გამოცდაზე მიღებული შედეგი საბოლოოა.

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22 (ოთახი 109), ტელეფონი: 2 40 34 40, 2 40 33 40, ელფოსტა: info@sba.edu.ge